







# იხილარი ღირსეულად განვლილი წლები



**ბორჯომის** განათლების დარგის ამგვარი ქალბატონი, რაიონის განათლების განყოფილების მეთოდური კაბინეტის ყოფილი გამგე და პედაგოგი **ნელი საჯარო სკოლისა, მარიკა მურმანიშვილი** 80 წლისაა. რა სწრაფად გაიბრძინეს წლებმა, ყველაფერი თითქოს გუშინ ხდებოდა. საერთოდ, ყოველთვის გამორჩეულია ვალმოხდელი ადამიანის ღვაწლი. უთუოდ ყველას, გამსაკურებელი კი პედაგოგისა, მოზარდების სულის მჭედლისა და დამფრთხიანებისა, ქალბატონი მარიკას შემთხვევაში კი, მისწავლევების აღმზრდელი მასწავლებელთა დამკვიდრებისა. ამიტომაც, ტყუილუბრალოდ არ უნოდებდნენ მარიკა მურმანიშვილს მასწავლებელთა მასწავლებლებს. დიდ პედაგოგიურ ღვაწლთან ერთად ქალბატონი მარიკას გამორჩეულობა მის პიროვნულ და საზოგადოებრივ ავტორიტეტსაც უკავშირდება, რაც მრავალი მიზეზითაა განპირობებული:

სწინდითა და მალაღობრივობით გამორჩეული, წიგნის დამფასებელი ოჯახის შვილი იყო და სწორედ ოჯახმა აღზარდა მასში ფასდაუდებელი თვისებები: პასუხისმგებლობა, შრომისმოყვარეობა, უმაღლესი ზნეობრიობა, ალაღობრივობა და სამართლიანობა, რაც მთავარა, კარგად შეაცნობინეს წიგნის

ყადრი. ბავშვობიდანვე სამაგალითო გოგონა იყო, ქვბაც არ აკლდა. სკოლაში წარმატებით სწავლობდა, მის გარეშე ვერ წარმოედგინათ საზოგადოებრივი საქმიანობა, სკოლის ლიტერატურული წრის აქტიური წევრიც იყო, მოსწონდათ წიგნის განხილვისა და ლიტერატურულ პერსონაჟთა დახასიათებისა და გასამართლების მისეული ვერსიები სასკოლო, რაიონულ თუ საქალაქო ღონისძიებებზე გამოსვლისას. ალბათ, ამ დროს ჩაესახა პატარა გოგონას გულში ქართული ფილოლოგიის სიღრმისეულად შესწავლის ოცნება, რათა მომავალში მიეტანა მოზარდების გულსა და გონებაში ქართული შემოქმედთა იშვიათი მარგალიტები, რომელთა ცოდნაც ესოდენ ჭირდება ბავშვებს, იმისათვის, რომ გაიგოს „ვისი გორისანი არიან“, შეიმეცნოს სამშობლოს ფენომენი და ის, თუ როგორი გაფრთხილება სჭირდება მას. ქალბატონმა მარიკამ ეს შეძლო. თუმცა მანამ იყო წარმატებული მოსწავლეებთან აღმზრდელი მუშაობის ასპარეზზე იმევე სკოლაში, რომელიც ის-ისაა დაამთავრა. მიღწევები შეუმწვევლი არ დარჩენიათ და მშობლიური საშუაის რაიონის ხელმძღვანელობამ მას მოსწავლე-ახალგაზრდობის რაიონული სახლის დირექტორობა მიანიჭა. ქალბატონი მარიკას არც აქ შეურცხვენია თავი. სახლების მამიებელმა ახალგაზრდამ ახალი სული შთაბერა აღნიშნული სახლის საქმიანობას და მისი ქება რესპუბლიკის მასშტაბითაც გაისმა.

ქალბატონი მარიკას ცხოვრების შემდგომი ეტაპი ბორჯომში გრძელდება, რომელმაც თავისი ბედი ღირსეულ ქართველ ვაჟკაცს, ჯემალ გოგოლაძეს დაუკავშირა. მტკიცე, ბედნი-

ერმა, სამაგალითო ქართულმა ოჯახმა ორი შესანიშნავი ვაჟკაცი აღუზარდა სამშობლოს ოჯახის შექმნის კვალდაკვალ არ შენელებულა ქალბატონი მარიკას ინტერესი პროფესიული და საზოგადოებრივი საქმიანობისადმი. იყო წარმატებით გამორჩეული მოღვაწეობის წლები ბორჯომის მეორე საშუალო სკოლაში სააღმზრდელო დარგში დირექტორის მოადგილე მუშაობისას. აღნიშნული სკოლის დიდ წარმატებებში მოსწავლეთა სწავლა-აღზრდისათვის განეულ საქმიანობაში სწორედ იყო მისი შრომის ღონისძიება. ქალბატონი მარიკას მიღწევები არც ბორჯომის რაიონის ხელმძღვანელობას დარჩენია შეუმწვევლი და სწავლების უზრუნველსაყოფად რაიონული მეთოდკაბინეტი ჩააბარეს. ახალ სარბიელზე კიდევ უკეთესი გამოვლინდა მისი, როგორც ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტის მალაღობრივი პროფესიონალიზმი და პიროვნული კეთილშობილება. იგი დიდი ყურადღებით სწავლობდა რაიონის თითოეული პედაგოგის საქმიანობას სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული საგნების სწავლების კუთხით. ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას, მოკრძალებას და პატივისცემას გამოიხატავდა რაიონის თითოეული პედაგოგისადმი, მისი დამსახურება ის, რომ რაიონის ბევრი პედაგოგის, ერთი შეხედვით, მოკრძალებული, მაგრამ ქვეყნისათვის ასე საჭირო, მეთოდურად გამართული და ცოდნით გასწავლენილი გაკვეთილები რაიონულ დონეზე გახდა საქებარი და განსაზოგადოებელი. ქალბატონმა მარიკამ ესეც შეძლო, აქაც პირველი იყო.

**ქალბატონი მარიკა, ძვირფასო კოლეგებო, ბორჯომის №1 საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი გულითადად გილოცავთ დაბადებიდან 80 წლის იუბილეს. გისურვებთ დიდგრძობას, მშენობას და უღვე სხარულს!**

# სპორტი რევაზ ლაშის სახელობის ტურნირი - მესამე!



**ამა წლის 19-21 ივნისს ქ. ბორჯომში „ოლიმპის“ დარბაზში ჩატარდა ლონდონის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორის ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ბატონ რევაზ ლაშის სახელობის ტრადიციული რესპუბლიკური ტურნირი.**

**შეჯიბრება მიმდინარეობდა 28 წონით კატეგორიაში, ასპარეზობაში მონაწილეობდა საქართველოს ყველა რეგიონის 300-მდე მოზარდი. შეჯიბრი ორ ასაკობრივ წონით კატეგორიაში (2007-2008 და 2009-2011წწ დაბადებულებს შორის წარმართა) მონაწილეობდნენ: აფხაზეთი, ქიათურის, რუსთავის, წალკის, საშურის, ქუთაისის, ხულოს, ხელვაჩაურის, გარდაბნის, საგარეჯოს, თბილისის, ო.მ.ც.-ის, სარაგაშის, ზესტფონის, სენაკის, თერჯოლის, სოხის, გურჯაანის, სკ „ოლიმპის“ გუნდები.**

**ბორჯომის გუნდიდან შეჯიბრებაში საასპარეზოდ ჩაებნენ ამავე სახეობის მწვრთნელები: ნ. შაბაძე-შიშიანი, მ. რაჭმაქის, ზ. სამსონაშვილი, მ. ჩაღნაღის აღსაზრდელები.**

**შესანიშნავად იასპარეზეს ბორჯომელმა მოჭიდავეებმა ტურნირის ჩემპიონები გახდნენ: ს. შარვალიანი (72კგ); მათა სელინაშვილი (20კგ); მ. სელინაშვილი (42 კგ); ი. ლომიანი (35 კგ); პ. მანაიანი (42 კგ); მ. შიშიანი ადგილზე გავიდნენ: ნ. შიშიანი (45კგ); მ. შიშიანი (60 კგ); სანდრო შარვალიანი (68კგ); ი. მანაიანი (42 კგ).**

**მისამდე ადგილს დასჯერდნენ: ი. დელიანი (72კგ); თ. მუსხიანი (23კგ); მ. შაბაძე (42კგ); პ. მანაიანი (42კგ); ნ. შაბაძე (35კგ); მ. შაბაძე (44კგ); მ. თინიაშვილი (44კგ); მ. ბორჯომელი (65 კგ).**

გამარჯვებული სპორტსმენები ბორჯომის საკრებულოს თავმჯდომარემ **დავით ზაალიშვილმა**, მერის მოადგილემ **გიორგი ტაბატაძემ**, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი ფერაძემ**, კულტურის განყოფილების ხელმძღვანელმა **შალვა გოგოლაძემ** და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა შედეგებითა და სიგელებით დააჯილდოვეს.

აღსანიშნავია, რომ ტურნირი მესამედ ჩატარდა.

# „ზიზი ლენდი“ - სივრცე პატრონების

**XXI საუკუნეში** ყველაწიერი პირობაა იმისათვის, რომ თქვენი დაბადებისა თუ სხვა მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული დღეები სპეციალურად განკუთვნილ გასართობ სივრცეებში ან ცენტრებში აღნიშნოთ. საქართველოში ალბათ არც ერთი ქალაქი არ არსებობს, სადაც გასართობი სივრცეები არ იყოს და სადაც თქვენთვის განკუთვნილ პროგრამასა და სერვისებს არ გთავაზობდნენ. წლების წინ ბორჯომში რამდენიმე გასართობი ცენტრი კი ფუნქციონირებდა, თუმცა ბოლო წლებში არც ერთი მათგანი აღარ არსებობს.



სერვისის მომხმარებლებისაგან ყოველდღიურად იღებდა მოთხოვნას, რომ თუ იქნებოდა ბორჯომში შესაძლებლობა, რომ ბავშვთა გასართობი ცენტრი ყოფილიყო მიუხედავად დიდი მოთხოვნისა, მზიკოს ფინანსები არ უწყობდა ხელს. შემდეგ აღმოაჩინა პროექტი სახელწოდებით „Rural Development through Youth Entrepreneurship“, რომელიც აფინანსებდა როგორც დამწყებ, ასევე უკვე არსებულ მენარმეებს. გაიარა რამდენიმე ტური, სადაც მისი იდეა მონაწილეებს შორისაც კი უდიდეს მოწონებას იმსახურებდა. ფინანსურ ეტაპამდეც მივიდა, მისთვის მოულოდნელად. მოულოდნელად იმიტომ, რომ არსებულ პროექტებს შორის მისი ბიზნეს იდეა რეგიონისთვის საკმაოდ მოთხოვნიდი და სასურველი ბიზნესი იქნებოდა. თუმცა, ბოლო ტურში სამწუხაროდ, უარი უთხრეს. მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, ის არ დანებდა და გააგრძელა საკუთარი მიზნისკენ სწრაფვა საკუთარი ძალებით. როგორც თვითონ ამბობს, პროექტმა შემატა მის გამოცდილებას, თუ როგორ მართოს ბიზნესი სწორად და ყველაზე მთავარი, რაც მისცა პროექტმა ეს იყო მოტივაცია, რომ გაეკეთებინა ის, რაც მათ ვერ შეძლეს ბორ-

ჯომის რაიონისათვის. პროექტს დასრულებიდან ორი თვე გავიდა და სრულიად დამოუკიდებლად, მან საკუთარი მიზანი რეალობად აქცია.

თვის ბოლოს ბორჯომში, მესხეთის ქუჩა №31-ში გასართობი ცენტრი „ზიზი ლენდი“ გაიხსნება. სახელწოდება „ზიზი ლენდი“ მზიკოს შვილს, ზიკოს უკავშირდება. როგორც მზიკოს ამბობს, სწორედ ზიკო იყო მისი მთავარი მოტივატორი, რომ სირთულეების დროს არასდროს დანებებულყო და გააგრძელებო-

ნა გზა მიზნის მისაღწევად. ცენტრი მომხმარებლებს შესთავაზებს მათ მიერ შექმნილ, ასაკზე მორგებულ პროგრამას, სადღესასწაულო გაფორმებას, მუსიკალურ ნომრებსა და კვებას. გარდა იმისა, რომ ეს იქნება გასართობი სივრცე, ბორჯომის რეალობაში ადგილობრივებისათვის დამატებით შეიქმნა 6 სამუშაო ადგილი, როგორცაა: წამყვანი, წამყვანის დამხმარე, ფოტოგრაფი, მზარეული, მიმტანი და დამლაგებელი.

კარგია, როდესაც შენ მიზანს რეალობად აქცევ და ამავდროულად შენი რაიონის მოსახლეობაც არ გავიწყდება, რომლებიც არც თუ ისე ხშირად არიან განებივრებული სამუშაო ადგილებით.

გვინდა, წარმატება, წინსვლა, ბევრი გასართობი და კმაყოფილი მომხმარებელი ვუსურვოთ ახალგაზრდა მიზანდასახულ ქალბატონს.

**მზიკა ნატო მელიქიძე.**

# «მოდი ვიშოქრაოთ» ჩვენი ჯანმრთელობისათვის



**ოლიმპიზმის** საერთაშორისო დღეს, კამპანიას სახელწოდებით **„მოდი ვიშოქრაოთ“**, ბორჯომის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებიც შეუერთდნენ. მოსწავლეებმა სპორტის სხვადასხვა სახეობებში მიიღეს მონაწილეობა.

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა და სასკოლო სპორტის საერთაშორისო ფედერაციამ, ოლიმპიზმის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ახალი კამპანია „მოდი ვიშოქრაოთ“ / Let's Move დაიწყო. აქტივობის მიზანია, რაც შეიძლება მეტი მოსწავლე წახალისდეს და ახალგაზრდები ფიზიკური აქტივობით დაკავდნენ.

მოსწავლეთა მონაწილეობით თბილისსა და რეგიონებში ოლიმპიზმის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გაიმართა.

ომარი, მანანა, მადონა, მაია კიკაძეები, მალხაზ მშვილდაძე, ალექსანდრე გრიგორიანი ღრმა მწუხარებით იწყებენ, რომ გარდაიცვალა **თემური (ფათოქრი) გელაშვილი** და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**გახეთი რეცისტრირებული ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეცისტრაციის №24.04.59**

**რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისით არ იზარებდეს.**

**გახეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.**

**მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2 ტელ 22-29-65 იხუდება შპს გამოცემაში ქაპრში.**

**თბილისი, თვედარი მკვდლის №57.**

**borjomi@inbox.ru რედაქტორი: პალმირან ლომიძე**